პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

30 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ ᲙᲕᲘᲠᲐ

1968

ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐᲞ.

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 49-Ე ᲬᲔᲚᲘ • № 151 (14147)

ᲡᲐᲤᲐᲠᲛᲝ ᲤᲠᲗᲔᲑᲡ ᲨᲚᲘᲡ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. (საკ. კორ.). ტყავის ქარხანა ამჟამად ქალაქის ერთ-ერთი მსხვილი საწარმოა. იგი უოველწლიურად იზრდება და რენტაბელური ხდება. ახლახან აქ დამთავრდა რეკონსტრუქცია, საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი საამქროს სამსართულიანი კორპუსი, რითაც საწარმოს სიმძლავრე რამდენჯერმე გაიზრდება. მაგალითად, თუ რეკონსტრუქციამდე ქარხანა წელიწადში 21 მილიონ კვადრატულ დეციმეტრ ტყავს ამზადებდა, მომავალში 105 მილიონ კვადრატულ დეციმეტრს გამოუშვებს. მნიშვნელოვნად გაფართოვდა პროდუქციის ასორტიმენტიც. თუ წინათ აქ მხოლოდ 2 სახეობის ნედლეულს ამუშავებდნენ, ახლა ხუთი სახეობის ნედლეულს ამუშავებენ და ოცნაირი შეფერილობის ტყავს ამზადებენ.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. (საკ. კორ.). ხუთწლედი ოთხ წელიწადში — ასეთია ბათუმელ მეკვეკეთა საბრძოლო ამოცანა. ხუთწლედი ბოკვის ფაბრიკამ 8.900 ათასი მანეთის პროდუქცია უნდა დამზადოს. მომდინარე წლის მაისის ჩათვლით დამზადებულია 5 მილიონი მანეთის ნაწარმი, რაც იმის დამადასტურებელია, რომ მეკვეკეები სიტყვას საქმედ აქცევენ. უკვე რამდენიმე თვით უსწრებენ გრაფიკს.

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲣᲚᲘ — ᲕᲐᲓᲐᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲚᲘ

ᲖᲔᲒᲔᲒᲛᲘᲗᲘ ᲡᲐᲗᲒᲝᲒᲝ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). ქვანახშირის მაღაროთა სამმართველოს № 1 შახტის კოლექტივმა გადაკარბებით შეასრულა ხუთი თვის დავალება, მეგმის გადამეტებით ამოიღო 738 ტონა სათბობი.

ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის გაწლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაუნიშნურდა თ. შარიქაძის № 2 საექსპლოატაციო უბანი. უბნის მნგრეველთა ანგარიშზე მეგმის გადამეტებით ითვლება 250 ტონამდე ქვანახშირი.

სასახელო წარმატებები მოიპოვეს აგრეთვე ა. ჯვარიძის მნგრეველთა და მ. გალოიანის გამყვანთა ბრიგადებმა, რომლებიც ყოველდღიურ ნორმას 105-110 პროცენტით ასრულებენ.



30 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲐ!

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: თბილისის საინსტრუმენტო ქარხნის კომუნისტური შრომის ახალგაზრდა დამკვრელების ჯგუფი (მარცხნიდან მარჯვნივ): ამლესავი ნ. მინასიანი, მხეზავი მ. ვაშაკიძე, ამლესავი თ. გვრიტიშვილი, ხარატი ე. ბადალიანი, ამლესავები ა. ჩუნაკოვა, ე. სამხარაძე, ი. ასლამაზოვა და შ. სალუქვაძე.

ფოტო ხ. ᲙᲘᲚᲐᲫᲘᲡᲐ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲛᲔᲚᲘ

ᲓᲦᲔᲡ საბჭოთა ახალგაზრდობის ტრადიციული დღესასწაულია. ყველგან, ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს მთელ თვალუწვდენელ ტერიტორიაზე, ქალაქად თუ სოფლად გაისმის ახალგაზრდობის შრომის, ბრძოლისა და სწავლის სადიდებელი ჰიმნი. მოსწავლე თუ სტუდენტი, მუშა თუ კოლმეურნე, სპორტსმენი თუ ჯარისკაცი, მეცნიერი თუ ხელოვანი დღეს პარტიისა და მთავრობისადმი მადლიერების გრძნობით ხვდება ზეიმს, რომელზეც მოაქვს თავისი შრომით მოპოვებული წარმატებები, პირობას აძლევს დედასამშობლოს ამრავლოს ეს წარმატებები, იყოს პარტიისა და მთავრობის, ხალხის მოწოდებების სიმაღლეზე.

საბჭოთა ახალგაზრდობა მისი ავანგარდის — ლენინური კომკავშირის ხელმძღვანელობით მუდამ ცხოვრების შუაგულში ტრიალებს, მუდამ აქტიური მონაწილეა კომუნიზმის მშენებლობისა, მუდამ მზად არის სამშობლოს დაძახილზე იქ იყოს, სადაც ამას საქმე მოითხოვს, და უჩვენოს თავისი სიბეჯითე, ნებისყოფის სიმტკიცე, პატრიოტიზმის საუკეთესო ნიმუშები.

აი თუნდაც მზიური საქართველოს ჭაბუკებისა და ქალიშვილების დაუცხრომელი ენთუზიაზმი! — სტუდენტები შეუდგნენ თავიანთ ცნობილ „მესამე სემესტრს“ —ისინი გაემგზავრნენ ან მიემგზავრებიან ყამირ მიწებზე თუ ენგურჰესის მშენებლობაზე სამუშაოდ, მამაცურად შრომობენ ახალგაზრდები საკოლმეურნეო მინდვრებზე თუ დაზგებთან, შახტებში თუ მშენებლობებზე და ყველგან, სადაც უნდა იყვნენ, უჩვენებენ პატრიოტიზმის, შრომითი მამაცობის შესანიშნავ მაგალითებს.

ახალგაზრდობის ზეიმი ემთხვევა იმ დღეებს, როცა საქართველოს სკოლების კარი უკანასკნელად გაიხურა 50 ათასმა მაძლიერმა ჭაბუკმა და ქალიშვილმა და, საშუალო სკოლის კურსდამთავრებულის ატესტატით ხელში, გადის ცხოვრების დიდ გზაზე, დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე. ნაწილს, რომ იტყვიან, ბედი გაუღიმებს — გახდება სტუდენტი, ბედის მომდურავნი არც სხვები იქნებიან — მიაშურებენ საწარმო-დაწესებულებებს, კოლმეურნეობებს, მშენებლობებს, — ქვეყანა დიდია, და ყველგან, სადაც კი ისინი მოისურვებენ ცხოვრებას და შუშაობას, მათ შეხვდებათ ადამიანთა სითბო, მზრუნველობა, დახმარება და მხარდაჭერა. დავულოცოთ მათ ახალი ცხოვრების გზა!

მრავალი ასეული ახალგაზრდა წელს უმაღლესი განათლების დიპლომით შეუდგება დამოუკიდებელი ცხოვრების რთულსა და საინტერესო გზას — შეძენილ ცოდნას პრაქტიკაში გამოიყენებს. გზა დავულოცოთ მათ ამ ახალ ასპარეზზე.

საბჭოთა ახალგაზრდობის წლევანდელი დღე განსაკუთრებულია — იგი ემთხვევა სახელოვანი ლენინური კომკავშირის ნახევარსაუკუნოვანი იუბილესათვის გაცხოველებულ მზადებას.

საქართველოს სტუდენტები თუ ახალგაზრდა მუშები, კოლმეურნეები თუ კულტურის ფრონტის მუშაკები მთელი ენერგიით იბრძვიან იმისათვის, რომ ახალ-ახალი წარმატებებით შეხვდნენ კომკავშირის იუბილეს.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲡ, ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ

ᲕᲐᲚᲢᲔᲠ ᲣᲚᲑᲠᲘᲮᲢᲡ

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝ ᲕᲐᲚᲢᲔᲠ ᲣᲚᲑᲠᲘᲮᲢ!

თქვენი სახელოვანი 75 წლისთავის დღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი მხურვალედ გილოცავენ თქვენ, გერმანიისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეს, გერმანიის ისტორიაში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მეთაურს.

საბჭოთა კავშირის მშრომელები მრავალი წელია გიცნობენ თქვენ, როგორც ერთგულ და თანმიმდევრულ მებრძოლს გერმანიის მუშათა კლასის ინტერესებისათვის, ჰიტლერული ფაშიზმის წინააღმდეგ, დასავლეთ გერმანიის მილიტარიზმისა და ნეონაციზმის წინააღმდეგ. საყოველთაოდ არის აღიარებული თქვენი თვალსაჩინო წვლილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნაში, განმტკიცებასა და განვითარებაში, განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში მეცნიერული კომუნიზმის დიდი ფუძემდებლების სამშობლოში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტებს, მშრომელებს უყვარხართ და პატივს გცემენ თქვენ, როგორც ერთ-ერთ დამაარსებელსა და ხელმძღვანელს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიისა, რომელიც შემოქმედებითად ახორციელებს მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას სოციალისტური რევოლუციისა და ახალი საზოგადოების მშენებლობის შესახებ, თანმიმდევრულად იბრძვის მსოფლიო სოციალისტური სისტემის განმტკიცებისათვის, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობისა და შეკავშირებისათვის.

ყველა საბჭოთა ადამიანს თქვენ მიაჩნიხართ საბჭოთა კავშირის დიდ მეგობრად, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის მებრძოლად.

გისურვებთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგო ვალტერ ულბრიხტ, ჯანმრთელობას, დღეგრძელობასა და ნაყოფიერ მოღვაწეობას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხის საკეთილდღეოდ, მარქსის, ენგელსის, ლენინის იდეების გამარჯვებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ ᲕᲐᲚᲢᲔᲠ ᲣᲚᲑᲠᲘᲮᲢᲘᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ კომუნისტურ მოძრაობაში მრავალი წლის აქტიური მონაწილეობის, მშვიდობისა და სოციალიზმის, საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხებს შორის ძმური მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებაში თავლსაჩინო დამსახურების აღსანიშნავად და დაბადების სამოცდათხუთმეტ წელთან დაკავშირებით გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი **ვალტერ ულბრიხტი** დაჯილდოვდეს **ოქტომბრის რევოლუციის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი. **1968 წ. 28 ივნისი.**

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠ-ᲣᲜ�გᲠᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ

28 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ კრემლში დაიწყო საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მოლაპარაკება.

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. ი. ვორონოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ო. კატუშევი და სხვები.

უნგრეთის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობენ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი იანოშ კადარი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარე ენე ფოგი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დიერდ აცელი და სხვები.

მოლაპარაკების დროს ორივე დელეგაციამ ერთმანეთს გააცნო, თუ როგორ მიმდინარეობს სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობა სსრ კავშირსა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში, გაუზიარა აზრები თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობასა და საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ზოგიერთ აქტუალურ საკითხზე.

მოლაპარაკება ამხანაგურ, გულითად ვითარებაში და სრული ერთსულოვნების ატმოსფერში მიმდინარეობდა. (საკდესი).

ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ ᲓᲦᲔᲡ

ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ ᲛᲐᲥᲡᲘᲛ ᲒᲝᲠᲙᲘ

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ დღეა საქართველო ზეიმობს დიდი პროლეტარული მწერლის ალექსი მაქსიმეს-ძე გორკის დაბადების 100 წლისთავს. ამ ზეიმის მონაწილენი და სტუმრები 29 ივნისს შეეკრიბნენ ქარხანაში, სადაც 1892 წელს მუშაობდა. მაშინ ჯერ კიდევ უცნობი ახალგაზრდა ალექსი პეშკოვი.

...თბილისის რკინიგზის-ვაგონშემკეთებელ ქარხანას, მაშინდელ რკინიგზის მთავარ სახელოსნოებს, ახლოს მოკრძალებული ქერათმიანი მაღალი ჭაბუკი, რომელიც ჯერ მღებავად მუშაობდა აქ, შემდეგ მეტალელად. მუშებს, რომლებთანაც იგი იზიარებდა სიმძიმეებსა და გაჭირვებას, უყვარდათ გულისხმიერებისათვის, სიკეთისათვის, უანგარო დახმარებისათვის. ვინ იფერებდა მაშინ, რომ ადამიანი, რომელიც მათ მხარდამხარ შრომობდა, გახდებოდა სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის, მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა თავისუფალი სახელმწიფოს ლიტერატურის ფუძემდებელი.

ქარხნის ეზოში დილადაადგე შეიკრიბნენ მუშები, ინტელიგენციის წარმომადგენლები. ტაშითა და ყვავილებთან შეხვედრილ ისინი საბჭოთა და საზღვარგარეთელ მწერლებს, საქართველოში გორკის დღეების მონაწილეებს.

ა. მ. გორკის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი მიტინგი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **დ. სტურუამ.**

— დღეს, — თქვა მან, — აქ ქარხანაში, რომელსაც სახელოვანი რევოლუციური ტრადიციები აქვს, მოვიდნენ ცნობილი საბჭოთა მწერლები, საზღვარგარეთელი ლიტერატორები, რათა პატივი სცენ ადამიანს, რომელმაც სახელი გაუთქვა ჩვენს ლიტერატურას. აქ ქარხანაში, რომელიც ამიერკავკასიის რევოლუციური მოძრაობის ავანგარდი -ყო, მხარდამხარ მუშაობდნენ ქართველები და რუსები, სომხები და ებრაელები. გორკის მთელი ცხოვრება დაკავშირებული იყო მათთან, მუშათა კლასთან. მან მსოფლიო ლიტერატურაში პირველმა შექმნა მუშის შესანიშნავი სახე.

სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის მდივანს **ს. ბარუზდინს.**

— არის რაღაც საგულისხმო იმაში, — თქვა მან, — რომ საბჭოთა ხალხმა თითქმის ერთდროულად აღნიშნა ორი დიადი თარიღი — ოქტომბრის 50 წლისთავი და თავისი ლიტერატურის ფუძემდებლის ალექსი მაქსიმეს-ძე გორკის 100 წლისთავი. შემთხვევითი როდია, რომ გორკის იუბილე გაიმართა მთელ მსოფლიოში და მთავრდება თბილისში, სადაც მან ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო.

გორკის სახელი ძვირფასია არა მარტო რუსული ლიტერატურისათვის, არამედ ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის ლიტერატურებისათვისაც. გავიხსენოთ, როდის დაწერა გორკიმ თავისი პირველი მოთხრობა „მაკარ ჩუდრა“. რუსეთში მაშინ წიგნები 14 ენაზე გამოდიოდა. როცა საბჭოთა მწერლების პირველი ყრილობის ტრიბუნიდან ალექსი მაქსიმეს-ძე გორკი ლაპარაკობდა საბჭოთა ქვეყნის ლიტერატურის აყვავებაზე, წიგნები გამოდიოდა სსრ კავშირის ხალხთა 40 ენაზე. დღეს კი ჩვენი ლიტერატურა უკვე 74 ენაზე გამოდის.

ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასია, რომ აქ მუშაობდა გორკი, რომ თქვენს ქარხანასთან დაკავშირებულია ჩვენი ეპოქის უდიდეს მოღვაწეთა სახელები.

ს. ბარუზდინმა ქარხნის უფროსს **ა. მასხარაშვილს** გადასცა სამახსოვრო საიუბილეო medali, რომელიც მოჭრილია ა. მ. გორკის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად.

ა. მ. გორკის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავი რესპუბლიკური საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარემ, მწერალმა **კ. ლორთქიფანიძემ** თქვა, რომ მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ყოფილა ბევრი მწერალი, რომელიც ლიტერატურაში მოსულა დიდ გარდატეხათა მიჯნაზე და თავისი სტატუით აღუფრთოვანებია ერებრობა. ისინი იყვნენ დიდი სულიერი წინამორბედნი, ხალხთათვის გზის მაჩვენებელნი, ცხოვრების ბრძენი ბასაგლებელნი.

„მაკარ ჩუდრას“ გამოქვეყნებისთანავე გორკიმ მთელ მსოფლიოში მოიხვეჭა სახელი. მისი პირველი მოთხრობები ითარგმნებოდა სხვადასხვა ენაზე პირდაპირ ფურცლებიდან, რომლებსაც ჯერ არც კი შეშრობოდათ სტამბის საღებავი. ამ მოთხრობების პირველი გმირები მკითხველს უოველიდღეს ჩაგრული ადამიანის ბედნიერებისათვის ბრძოლის წყურვილს.

ჰუმანიზმის დიდმა მაცნემ მაქსიმ გორკიმ მილიონობით დამცირებული და ჩაგრული გამოალვიძა და საქვეყნოდ უთხრა, რომ ადამიანობა არ განიზომება და არ აფასებენ ოქროს რაოდენობით, რომ მსაჯული ვერ იქნება ის, ვინც სისხლში აზელილ პურს სჭამს. მას შემდეგ, რაც ადამიანმა წერა ისწავლა, ჩაგრულთა და დამცირებულთა არა ყოფილით ისეთი ერთგული და თანმიმდევრული ქადაგი, როგორიც გორკი იყო.

გორკიმ-ლიტერატურაში შემოიყვანა ახალი გმირები, რომლებიც სრულებით არა ჰგავდნენ წინამორბედი ლიტერატურის გმირებს. მწერალმა თან მოიტანა ახალი ესთეტიკური პრინციპები, რომლებსაც საფუძველად ედო კლასობრივი პარტიული სიმართლე.

გორკის სახელი სამუდამოდ არის დაკავშირებული საქართველოსთან და ქართველ ხალხთან. ამიტომ არის, რომ აქ ასე ვაფასებთ და გვიყვარს იგი, ამიტომ არის, რომ ასე გულითადად და სტუმართმოყვარულად ვხვდებით დღეს გორკის დღეების მონაწილეებს.

შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ რუმინელ მწერალს **ალექსე ივან გილიას.** იგი ქართველ ხალხს მხურვალედ ძიესლმა რუმინელი ხალხის სახელით.

— მართალია, ჩვენ ერთმანეთს გვაშორებს შავი ზღვა, — თქვა მან, — მაგრამ ოლიგანგი გვაერთიანებს დიდი მეგობრობა. ჯერ კიდევ XVII საუკუნეში ანთიმოზ ივერიელმა საქართველოდან რუმინეთში ჩამოიტანა ადამიანთა სულიერი დახმარების ყველაზე ქეთილშობილური და ქმედითი საშუალება — საბეჭდი დაზგა. ჩვენი მეგობრობის წყალუხვი ნაკადი განსაკუთრებით ფართოდ ფეთქავს ბოლო ოცეული წლის განმავლობაში. რუმინელ მწერალთა დელეგაცია ბედნიერია, რომ ჩამოვიდა აქ, საქართველოს მიწაწყალზე და მონაწილეობს ამ ზეიმში. გორკიმ, ახალმა ეპოქამეთქმა ხომ თავი არ მიჯაჭვეს ქაოსის მთებზე. მან დაამსხვრია ბორკილი, შეგარდენივით აიჭრა ბოლო და დანყოს მგზნებარე გულით გაუნათა გზა ადამიანებს.

გორკი ალეგბრიობის შეგნებაში შეიტანა არა მარტო როგორც დიდი მწერალი, არამედ უწინარეს ყოვლისა როგორც ახალი პერსპექტივის, ადამიანის ბედის ახალი ეზოს ალმამჩენი.

უზენაესმა ქართველმა მწერალმა **ს. შანშიაშვილმა,** რომელიც ეპიგრამად იცნობდა გორკის, დაასწერეთ გაუზარა მოგონებანი გორკისთან შეხვედრების შესახებ და წაიკითხა თითქმის 40 წლის წინათ საქართველოში მწერალის ჩამოსვლის გამო ექსპრომტად დაწერილი ლექსი.

— ბედნიერი ვარ, რომ აქ გამოვდიგარ ამერიკის შეერთებული შტატების პროგრესული მწერლების სახელით, — თქვა ამერიკელმა მწერალმა და ლიტერატურულმა კრიტიკოსმა **სიდნეი ფინკელსტაინმა.** — ჩვენ, პროგრესულ მწერლებს დიდი მაქსიმ გორკის ნაწარმოებები დღესაც მივიჯაჭნია უსამართლობასთან ბრძოლისაკენ მომწოდებლად. გორკი ყველგან ბავშვ მუშათა კლასის გამოარჯვების რწმენას.

85 წლის წინათ პაპაჩემი, რუსი ებრაელი, ამერიკაში გაემგზავრა, რათა განათლება მიეცა თავისი შვილებისათვის. ეს მან შეძლო: და აი ახლა ჩვ, მისი შვილიშვილი, ჩამოვდიგარ საბჭოთა კავშირში და, კერძოდ, თქვენთან, საქართველოში, რათა მივიღო ახალი განათლება — ვნახო, თუ რა შეუძლია ჩაგრისაგან განთავისუფლებულ ადამიანს, ისოა დამარჩენია. მადლობა გადავიხადოთ იმისათვის, რომ ესოდენ მოკლე ისტორიულ ადამში ასე ბევრი რამ შესძელით, რომ ასეთი შესანიშნავი ადამიანები ხართ.

ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ, გორკის პრემიის ლაურეატმა **დ. კუბულდინოვმა** თქვა: თუ არსებობს პოეზიის მა-

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲔ-2 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ).

ᲒᲝᲠᲙᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

ᲖᲔᲘᲛᲘ ᲭᲐᲠᲮᲐᲜᲐᲨᲘ

ᲐᲛ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ ᲛᲐᲥᲡᲘᲛ ᲒᲝᲠᲙᲘ

ᲛᲐᲥᲡᲘᲛ ᲒᲝᲠᲙᲘᲡ ᲛᲣᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲓᲐᲜ ᲩᲐᲛᲝᲡᲣᲚᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ გორკის დღეებში მონაწილეობისათვის თბილისს ეწვია მწერლის მშობლიური ქალაქის გორკის დელეგაცია. დელეგაციას მეთაურობს გორკის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ა. არხიპოვი. დელეგაციის შემადგენლობაში არიან სკკპ გორკის საქალაქო კომიტეტის პრომაგანდის განყოფილების გამგე ი. ბორისოვა, პარტიის გორკის საოლქო კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგის მოადგილე ა. პაშინი, სორმოვოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული აღმასკომის თავმჯდომარე ი. ტიხომიროვი. (საკდესი).

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: მიტინგი ორთკლმაკალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში, სადაც მუშაობდა მაქსიმ გორკი.

ფოტო ᲒᲚ. ᲒᲘᲜᲖᲑᲣᲠ�გᲘᲡᲐ.

ფეიმი ქარხანაში

(დასასრული)

ღალი ღმერთი, ის თავს დასტრიალებს ქართულ მიწაწყალს. ყველა საფუძველი მაქვს ასე ვიფიქრო და ვილაპარაკო, რადგან საქართველო ვნახე ჩემი თვალით, წამიკითხავს დიდი რუსთაველის, ვაჟა-ფშაველას, ილია ჭავჭავაძის, თანამედროვე ქართველი მოეტებისა და მწერლების ნაწარმოებები. პაგრამ თუ მართლაც არსებობს პოეზიის ღმერთი, იგი ინტერნაციონალური ყოფილა და თავისი ფრთით მადლი მოუცხია ბევრი ლიტერატურის — რუსული და სომხური, აზერბაიჯანული და უკრაინული ლიტერატურების წარმომადგენლებისთვის. გაწა საქართველოში არ ჰპოვეს შთაგონება პუშკინმა და ლერმონტოვმა, ლევ ტოლსტოიმ და ალექსანდრე გრიბოედოვმა. საქართველოშიც დაიწყო ლიტერატურული მოღვაწეობა დიდმა გორკიმ. ამისათვის მადლობა უნდა მოვახსენოთ მადლიან ქართველ მიწას, მის შესანიშნავ ხალხს.

ჩეხოსლოვაკიელმა მწერალმა და გორკის ნაწარმოებთა მთარგმნელმა ვერა მარუშანკოვამ ილაპარაკა, თუ რა პოპულარულია მწერლის ნაწარმოებები ჩეხოსლოვაკიაში.

მწერალმა გულთბილად მიუღოცა დამსწრეთ, მთელ ქართველ ხალხს გორკის დღეობა. გორკი მიყვარს და პატივს ვცემ იმისათვის, თქვა მან, რომ ასე მგზნებარედ უყვარდა და პატივს სცემდა ადამიანს, უსურვებდა მას ნათელ ცხოვრებას.

ქალაქ გორკის საზოგადოებრიობის დელეგაციის ხელმძღვანელი, გორკის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ა. არხიპოვი პროლეტარული მწერლის თანამემამულეთა სახელით შეკრებილთ მიესალმა და უსურვა დიდი წარმატებანი სამშობლოს საკეთილდღეოდ. მან თქვა, რომ სწორედ ყაზასიის მთებში გამალა ფრთა ქარიშხალმ, აქ დაიწყო მან გზა გორგალის შესახვედრად. ყაზასიაში გატარებული დრო გორკისათვის დიდმნიშვნელოვანი იყო ორმხრივ: აქ ჩამოყალიბდა მისი პირველი ლიტერატურული შეხედულებანი, აქ ალმართა მან რევოლუციური რომანტიზმის დროშა, თავის იდეალად გამოაცხადა გოლიათური სულისკვეთების ადამიანი, რომელსაც სიცოცხლეს ფრაზენია თავისუფლები. თბილისში კი, სწორედ ამ ქარხანაში, მუშათა კლასის თავისუფლებისათვის მზარი ბრძოლის ქარცეცხლში იწრთობოდა გორკი როგორც რევოლუციონერი, მარქსიზმის პროპაგანდისტი.

დიდი ადამიანის პირველი ნაბიჯები დაკავშირებულია ორ ქალაქთან — გორკთან და თბილისთან, და ეს ქალაქები იყოფენ დიდ პატივსა და სიხარულს პროლეტარული ლიტერატურის გენიის თანაზიარობისათვის.

ა. არხიპოვმა ქარხნის ეფროსს დელეგაციის აქ ყოფნის აღსანიშნავად გადასცა სუვენირი.

ტრიბუნაზეა თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის სამგზავრო ვაგონების საამქროს მუშა ბ. სენაშვილი. საწარმოს მუშათა სახელით იგი მხურვალედ მიესალმა სტუმრებს.

— ყველანი ვამაყობთ იმით, — თქვა მან, რომ სწორედ ამ ქარხანაში მუშაობდა დიდი მწერალი და ჭერ კიდევ რევოლუციური მოძრაობის გარიჟრაჟზე ცხოველმყოფელი ნადადი შეიტანა მუშათა პირველი წრეების საქმიანობაში, იწყოდა დიდ პროპაგანდისტულ მუშაობას და მუშებს ასწავლიდა, თუ როგორ უნდა დაუკავშირონ თეორია რევოლუციურ პრაქტიკას.

საქარხველო ალექსი მაქსიმეს-ძე გორკის ლიტერატურულ აკვნად ითვლება, ჩვენი ქარხანა კი მშობლიურ სახლად, სადაც იშვა მისი დიდი შემოქმედებითი გენია.

გორკიმ უდიდესი წვლილი შეიტანა ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის განმტკიცების საქმეში, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ინტერნაციონალური სოლიდარობის საქმეში. ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივი პატივს სცემს გორკის ტრადიციებს. ახლა აქ მუშაობენ 20-ზე მეტი ეროვნების წარმომადგენლები. ისინი პატივს სცემენ და უყვართ თავიანთი გორკი. მისი ნაწარმოებებით იზრდებოდნენ ჩვენი მამები და პაპები, ახლა კი ჩვენ გიზრდებით. გორკის ნაწარმოებები უკვდავია.

მიტინგი დახურულად ცხადდება. ქარხნის მუშებისა და მოსამსახურეების შვილები, მხატვრული თვითმოქმედების მონაწილენი ასრულებენ ქართულ ხალხურ ცეკვებს.

მ. გაბრიაძე,
გ. ბანიშვილი.
(საქდესის კორესპონდენტები).

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობისა და სხრ კავშირის მწერალთა კავშირის სამდივნოს გაერთიანებული პლენუმის მონაწილეები 29 ივნისს რუსთავს ეწვივნენ. ისინი გაეცნენ ქალაქს, იყვნენ მის ახალმშენებლობებზე. შემდეგ სტუმრებმა ინახულეს ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა და დაათვალიერეს მისი საამქროები. ქარხნის მუშები, მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები გულთბილად მიესალმნენ პლენუმის მონაწილეებს.

ზურათზე: მონაწილეები ქალაქ რუსთავში.

ფოტო ვ. გოგოხიისა.

ᲙᲣᲗᲮᲚᲔᲚᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ

დეპუტატი კლანტაციაში

ᲐᲠᲘᲠᲘᲐᲜᲘ მეჩაიეს, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, ორდენოსან თინა ცანდლაძეს ჩაის პლანტაციაში ვეწვიეთ.

ტუნგოს ხის ჩრდილში საგზე ბოდორი იდგა. თინა ბუჩქებს ქვეყნით ჩაპყოლოდა. მაღალი, ლაღად ნაზარდი ბუჩქები წელამდე სწვდებოდა. ანაპირა ფარეთობებში ქალიშვილები ბღინავენ, მათი შეწყობილი ხმები ჭალას ეფინებოდა, ჯიწრო ბილიკს დავადექით. თინა ჩაფიქრებული ჩანდა. ჩვენი მიახლოება არც გაუგია, ჩაის ყლორტებში სწრაფად აკრეფდა თითებს.

უცბონი რომ შეკვნიშნეს, მახლობელი ფართობებიდან სხვებიც მოვიდნენ.

თინას ვთხოვეთ მოეთხრო თავისთავზე.

—ვნრომობ, შეტი რა უნდა გითხრათ. მოჩენილი მაქვს 0,4 ჰექტარი. ეკეგმით უნდა მოვკრიფო 6 ტონა, ვალდებულება ავიღე ხუთნიანს ბოლომდე მოვკრიფო 8 ტონა „მწვანე ოქრო“. ჩემს თავს სიტყვა მიეცი საბ ბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამდე მომეკრიფა ნუმომ სიმაღლის გამო, რაც შესაძლებლობას იძლეოდა დაენახათ ყველაფერი, რაც გარშემო ხდებოდა, ისიც კი, თუ რა კეთდებოდა მოქალაქეთა სამხარეულოებში.

ი „ვრძელი გერმანი“ — ჩვიდმეტსართულიანი სახლის სიმაღლე შენობა, შემდეგ კოშკები „ისრის მლესავი“, „ვაჟაძეს მტერი“, „ქვეყნის გვირგვინი“.

ვიშეროროდის მშენებელთა დიდ ნიჭს მოწმობს არქიტექტურის საუცხოო ძეგლები — ციხე-სიმაგრე თოომპეა და დომის ეკლესია, მარმარილოს ძეგლები და სარკოფაგები, რომლებიც ისეთი ოსტატობით არის გაკეთებული, თითქოს ცოცხალ ქვას სიცოცხლე ჩაბერესო. ერთ-ერთი მათგანის ქვეშ განისვენებს გვამი ცნობილ ადმირალ კრუზენშტერნისა — პირველი რუსი მოგზაურისა. რომელმაც ხომალდით დედამიწა შემოიარა.

უჩვეულოა თოოშპეას ციხე-სიმაგრის ზედი. მის კედლებში, სადაც ოდესღაც მკაცრი რაინდები ცხოვრობდნენ, ახლა მოთავსებულია საბჭოთა ესტონეთის მთავრობა, ფეთქავს ჩვენი მრეველი ცხოვრების მაჯა. და შეიძლება ამიტომაც გეჩვენება თითქოს იმყოფები ორ დროში, ვრძნობ საუკუნეებით გაყოფილი ეპოქების სუნთქვას.

ვიშეგოროდის ბორცვის ძირიდან იწყება ქვედა ქალაქი — ვიწრო მიჩვეულ-მოხვეული ქუჩების ლაბირინთი, მრავალი ფლუგერით შემკული წვეტიანი გოტიკური სახურავების გროვა. ყოველივე ესეც მოქცეულია სქელი კედლების რკალში. ქვედა ქალაქში ოდესღაც ცხოვრობდნენ ვაჭრები, ხელოსნები. სწორედ ამ ტალინმა გიოთქვა სასული ლიიონის, ტყავისა და ხის შესანიშნავი ნაკეთობებით, იმ ტალინმა, რომელზეც უნდა გაეგლო ჯანსელ სოდაგარია საქონელს.

ბევრი რამ გადაუტანია ტალინს — მას უნახავს სკანდინავიელი და გერმანელი დამპყრობლები, უბრძოლია მახვილოსანთა და ტევტონთა რაინდული ორდენების წინააღმდეგ. მაგრამ მტრის შემოსევებიც, დროც უძლურნი აღმოჩნდნენ დაენგრიათ ის, რაც ხალხმა შექმნა.

ძნელია ქვედა ქალაქის პეიზაჟის სიმშვენიერის გადმოცემა. საკუთარი თვალით უნდა დაინახო და შეიგრძნო ეგი. ი რატუშის შენობა. იგი უზარმაზარია, მაგრამ მასში ჰარმონიულად არის შერწყმული მონუმენტურობა და სიმსუბუქე, მასიურობა და ხაზების დასრულებულობა. შორეული წარსულის შმნებლებს ჭეშმარიტად ღრმად ჰქონდათ შეცნობილი პროპორციების საიდუმლოება და არქიტექტურული ფორმების სრულყოფა. ამიტომ ახლაც კი მოჯადოებული ვრჩებით წარსული საუკუნეების ხუროთმოძღვართა ქმნილებებით აქაც, ტალინში, ჩვენს ძველ მცხეთაშიც, ზღაპრულ ბუხარაშიც, ოქროსგუმბათებიან სუზდალში. რატუშას განსაკუთრებულ განუმეორებელ სილამაზეს ანიჭებს არკადა და კოხტა რვაწახნაგოვანი კოშკი, რომელიც ფრონტონს ზემოთ მთელი 60 მეტრის სიმაღლეზეა აყვანილი.

კოშკის შპილი სადღაც მაღლა ცაში შემკულია ფლუგერით, რომელიც გამოსახავს ქალაქელ მეომარს — მოხუც თოომასს. მასზე ცალკე უნდა ვილაპარაკოთ. მოხუცი თოომასი ტალინისათვის თითქმის იგივეა, რაც თბილისისათვის ქართული დედის გამოსახულება. მას ხელში ალამი და მახვილი უჭირავს და განასახიერებს მამაცობას, მხედრულ სულს ტალინელებისას, რომლებიც მკერდით ხვდებოდნენ მტერს.

საუკუნეები გადის, მოხუცი თოომასი კი სულ დგას თავის საგუშაგოზე. დაკავირდები და მოგეჩვენება, რომ მკაცრ სახეზე კეთილი ღიმილი დასთამაშებს. იქნებ სამშობლო ქალაქის გაწამლეა უხარია? ან იქნებ ეს თვითონ ტალინი ეღიმის თავის ახალ ბედს საბჭოთა რესპუბლიკების ძმურ ოჯახში?

ᲠᲐᲢᲣᲨᲘᲡ წინ გადაშლილია მოედანი. მიდიხარ ამ მოედნით, აღმოჩნდები წარსულში. დაინახავ ევროპაში ყველაზე ძველ აფთიაქს, რომელიც ადამიანებს ემსახურება... 1442 წლიდან, დაინახავ მეფუნთუშეთა ვიწრო გასასვლელს ცნობილი სულიწმიდის ეკლესიით... და გეჩვენება, რომ მოედანზე კვლავ დინჯად მიემართებიან საშუალო საუკუნეების უცნაური ტანსაცმლით გამოწყობილი მოქალაქეები, რომ აქ კვლავ ხმაურობს ბაზარი და უზენაესის ნებით აღასრულებს სამართალს ჯალათი. მის მახვილს ხმა აწერია: „ღვთის წყალობა და ერთგულება ყოველ ღილით ახლდება. მახვილის აღმართვით ვეხმარები ცოდვილს საუკუნო ცხოვრება მოიპოვოს“.

...დროთა კაშკირი ვანუყრელია. უწარსულოდ არ არის აწმყო. ამაზე არ შეიძლება არ ფიქრობდე არა ყარტა მაშინ, როცა უყურებ ძველ კედლებს — წარსულის მდუმარე მოწმეებს, არამედ მაშინაც, როცა თანამედროვე ისტორიის ფურცლებს კითხულობ.

შეიძლება მხოლოდ შეეშურდეს ის, თუ სიძველის დაცვის რა უნარი აქვთ ტალინელებს. სიძველეს ყოველი მხრიდან გარს აკრავს ახალი, მაგრამ ამავე დროს როდი ავიწროებს, როდი ფრენენს მას. ორგანულად შერწყმული ძველი და ახალი განუყოფელი არიან ქალაქის სახეში.

ტალინი ზღვიდან ულამაზესი ჩანს. ქალაქი სწრაფად აფართოებს თავის საზღვრებს. უკანასკნელ წლებში აღმართულმა კვარტალებმა უკვე დიდი მასივები შექმნეს. ერთი შეხედვით ისინი ზუსტად ისეთივე არიან, როგორიც ყველგან ჩვენს სხვა ქალაქებში.

ჩემს გაოცებაზე მიპასუხეს, ეს მომავალი განაშენიანების უბანია, მისთვის არის მომზადებული გზები, რომლებიც მშენებლებისათვისაც საჭიროა და მობინადრეებისათვისაც.

და კიდევ ერთი დამახასიათებელი დეტალი. ახალ რაიონებში ბევრი ჩინებული, გემოვნებით გაფორმებული კაფეა. იქ კარგად შემზადებულ საჭმელსაც მიიღებთ და სითბოსა და მყუდროების ატმოსფეროშიც ოგრძნობთ თავს. კაფეში დასვენება ტალინელისათვის სასიამოვნო, ტრადიციად ქცეული ჩვევაა.

ახლა მოხუცი თოომასის ქალაქს ველარ იცნობ, მისი მოსახლეობა მოკლე ვადაში ორჯერ და მეტად გაიზარდა. ტალინი ახლა სახელგანთქმულია არა მარტო სიძველის რომანტიკით, არამედ მაღალგანვითარებული ინდუსტრიითაც. ელექტრომოტორებს, სინდიყის გამმართველებს, უახლეს ნახევარგამტარიან ხელსაწყოებს, რადიოტექნიკურ ნაკეთობებს, ნავთობის მრეწველობისათვის საჭირო მოწყობილობას — ყოველივე ამას აძლევენ ქვეყანას ტალინის საწარმოები. ეკონომიური და კულტურული კავშირის ათასობით ძაფი აერთიანებს მას ჩვენს თვალუწვდენ სამშობლოსთან. ნათქვამის მტკიცემეტყველური ილუსტრაცია იყო იმ თვითმფრინავის მგზავრთა შემადგენლობა, რომელმაც ტალინის აეროპორტში მიგვიყვანა. აქ იყვნენ — ქიმიკოსი-ტექნოლოგი მოსკოვიდან, რადიოზოგტოპების სპეციალისტი ციმბირიდან, ლიტერატორი ტაშკენტიდან, სპორტსმენები კიევიდან და მეშაბადურები შორეული კამჩატკიდან.

მაგრამ სწრაფი ზრდისასაც ტალინი თავის წყობაში, ყოველდღიურობაში ინარჩუნებს დამახასიათებელ სიდინჯეს, წესრიგს. აქ იშვიათად გაიგონებ ხმამაღალ, მკვახე ტონით ლაპარაკს, ვერ ნახავ აურზაურს. ქუჩებში და მოედნებზე სისუფთავეა გამეფებული.

ტალინი პოეზიით არის აღსავსე. და ალბათ ამიტომ ასე მდიდარია იგი სკულპტურული ძეგლებით.

მე ვნახე რამდენიმე ძეგლი, რაც დაუდგამთ რევოლუციონერი ბალტიელებისათვის, რომლებმაც მკაფიო ფურცლები ჩაწერეს რევოლუციის მატიანეში, მამაცურად იბრძოდნენ საბჭოთა მიწაწყლისათვის.

ვერავინ ვერ დარჩება გულგრილი იმათი ძეგლისადმი, ვინც თავისი სიცოცხლის ფასად გათავისუფლა ტალინი ჰიტლერელი დამპყრობლებისაგან. მას სწორედ ასეც ეწოდება — განმათავისუფლებელთა ძეგლი. ლია ფერის ბეტონის კედელთან დგას უბრალო ჯარისკაცის მეტყველი ფიგურა. იგი გამოხატავს მილიონობით საბჭოთა მეომრის ძალასა და გმირობას, სიდიადესა და მამაცობას, ყმაწვილები და მარადიული ცეცხლი აღიჭმება როგორც სიცოცხლისა და გმირობის უკვდავების სიმბოლო.

ბ. შატბერაშვილი.



ᲔᲡᲢᲝᲜᲔᲗᲘᲡ სსრ. ტალინის ცენტრალური მოედანი. ფოტო ვ. გორბუნოვისა, (საქდესის ფოტოქრონიკა).

ᲛᲝᲮᲣᲪᲘ ᲗᲝᲗᲝᲛᲞᲔᲡᲘᲡ ᲪᲘᲮᲔ-ᲡᲘᲛᲐᲒᲠᲘᲡ ᲛᲘᲬᲐᲖᲔ

ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲕᲘ

ᲣᲪᲜᲝ ქალაქთან შეხვედრა ყოველთვის გვიოცვლებს. მისი ჩრდილდენი საიდუმლო და მიმზიდველი გვეჩვენება, ხოლო ქუჩებში ფუსფუსი, ათასთაბად ადამიანთა ლაპარაკი თითქოს რაღაცას, ერთი შეხედვით მიუწვდომელს, მაგრამ უთუოდ ცოცხალსა და უსასრულოდ საინტერესოს გვიმალავს. ალბათ ამიტომ გვეგბადება სურვილი ჩავიხედოთ ქალაქის სულში, გავიგოთ ყველაფერი, რითაც იგი ცოცხლობს და სუნთქავს...

იმ დღეს, როცა ტალინში მოვხვდი, ვნახე მომაღერალი, მოზეიმე ქალაქი. აქ ყველაფერი მახარებდა, ბალტიის ზღვის მოლუშული წყალიც კი, და ამ დროს ჩვეულებრივ ღრუბლიანი ცა საოცრად, ნათელი და ალერსიანი იყო. ხალხი აღნიშნავდა მისთვის დაუფიწყარ თარიღს —25 წლისთავს ესტონეთის გვარდიული კორპუსის შექმნის დღიდან, რომელმაც საბჭოთა არმიის სხვა ნაწილებთან ერთად გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან გაათავისუფლა რესპუბლიკის დედაქალაქი.

სიხარული, რომელიც სუფევდა ქუჩებში და მოედნებზე, რაღაცით მომაგონებდა თბილისის 1500 წლისთავის დღესასწაულის დღეებს. უნებლიეთ გაიფიქრე, ზოგჯერ რა არასწორი ტრადიციული წარმოდგენა გვაქვს ჩრდილოეთელთა შვიდ და ცივ ხასიათზე. მაგრამ საკვირველი მარტო ეს როდი იყო.

არ შეიძლება გულგრილად მოეკიდო ტალინის მრავალსაუკუნოვან ისტორიას და მის განუმეორებელ თავისებურ სახეს. მას აქვს განსაკუთრებული, მარტო მისთვის დამახასიათებელი გარეგნობა.

უყურებ ეკლესიების ცადატყორცნილ შპილებს, საშუალო საუკუნეებში აგებულ მაგარ კედლებსა და კოშკებს, სახლების წვეტიან სახურავებს, და გგონია, რომ შენს წინ ცოცხლდება ძველი სურათი, რომლის ცენტრში ქალაქს დაჰყურებს ძველი ვიშგოროდი თავისი ოდესღაც მიუვალი სიმაგრეებით. აქ ყველაფერი მოგაგონებს ისტორიას, ყველაფერი სუნთქავს ძველ თქმულებათა რომანტიკით.

ხალხურმა ეპოსმა შემოინახა თქმულება ვიშგოროდის თვით ორმოცდაათმეტრიანი ბორცვის გარნის შესახებ — ეს ყორღანი ააგო ლეგენდარულმა ლინდამ თავისი საყვარელი შეუღლის გოლიათ კალევის ხსოვნის უკვდავსაყოფად.

ვიშგოროდის ანუ თოომპეას პირველი სიმაგრეები ააგეს შვიდასზე მეტი წლის წინათ დანიელმა ფეოდალებმა, რომლებმაც ესტონელთა მიწაწყალი დაიპყრეს. საუკუნეთა მანძილზე ისინი ხშირად გადაუკოთებიათ. ხალხი არა მარტო აგებდა ამ უზარმაზარ სიმაგრეებს, არამედ მეტად დამახასიათებელ სახელებსაც არქმევდა.

ᲐᲮ ᲭᲘᲛᲔᲚᲘᲡ ორმოცმეტრიანი კოშკი, რომელსაც სასაცილო და მეტყველი სახელი აქვს — „კიკ-ინ-დე-კიკ“, რაც ნიშნავს „იყურე სამზარეულოში“. ეს სახუმარო სახელწოდება მან მიიღო უზომო სიმაღლის გამო, რაც შესაძლებლობას იძლეოდა დაენახათ ყველაფერი, რაც გარშემო ხდებოდა, ისიც კი, თუ რა კეთდებოდა მოქალაქეთა სამზარეულოებში.

ᲐᲮ „ᲒᲠᲫᲔᲚᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘ“ — ჩვიდმეტსართულიანი სახლის სიმაღლე შენობა, შემდეგ კოშკები „ისრის მლესავი“, „ვაჟაძეს მტერი“, „ქვეყნის გვირგვინი“.

ᲕᲘᲨᲒᲝᲠᲝᲓᲘᲡ მშენებელთა დიდ ნიჭს მოწმობს არქიტექტურის საუცხოო ძეგლები — ციხე-სიმაგრე თოომპეა და დომის ეკლესია, მარმარილოს ძეგლები და სარკოფაგები, რომლებიც ისეთი ოსტატობით არის გაკეთებული, თითქოს ცივ ქვას სიცოცხლე ჩაბერესო. ერთ-ერთი მათგანის ქვეშ განისვენებს გვამი ცნობილ ადმირალ კრუზენშტერნისა — პირველი რუსი მოგზაურისა. რომელმაც ხომალდით დედამიწა შემოიარა.

ᲣᲩᲕᲔᲣᲚᲝᲐ თოოშპეას ციხე-სიმაგრის ზედი. მის კედლებში, სადაც ოდესღაც მკაცრი რაინდები ცხოვრობდნენ, ახლა მოთავსებულია საბჭოთა ესტონეთის მთავრობა, ფეთქავს ჩვენი მრეველი ცხოვრების მაჯა. და შეიძლება ამიტომაც გეჩვენება თითქოს იმყოფები ორ დროში, ვრძნობ საუკუნეებით გაყოფილი ეპოქების სუნთქვას.

ᲕᲘᲨᲒᲝᲠᲝᲓᲘᲡ ბორცვის ძირიდან იწყება ქვედა ქალაქი — ვიწრო მიჩვეულ-მოხვეული ქუჩების ლაბირინთი, მრავალი ფლუგერით შემკული წვეტიანი გოტიკური სახურავების გროვა. ყოველივე ესეც მოქცეულია სქელი კედლების რკალში. ქვედა ქალაქში ოდესღაც ცხოვრობდნენ ვაჭრები, ხელოსნები. სწორედ ამ ტალინმა გიოთქვა სასული ლიიონის, ტყავისა და ხის შესანიშნავი ნაკეთობებით, იმ ტალინმა, რომელზეც უნდა გაეგლო ჯანსელ სოდაგარია საქონელს.

ᲑᲔᲕᲠᲘ რამ გადაუტანია ტალინს — მას უნახავს სკანდინავიელი და გერმანელი დამპყრობლები, უბრძოლია მახვილოსანთა და ტევტონთა რაინდული ორდენების წინააღმდეგ. მაგრამ მტრის შემოსევებიც, დროც უძლურნი აღმოჩნდნენ დაენგრიათ ის, რაც ხალხმა შექმნა.

ᲫᲜᲔᲚᲘᲐ ქვედა ქალაქის პეიზაჟის სიმშვენიერის გადმოცემა. საკუთარი თვალით უნდა დაინახო და შეიგრძნო ეგი. ი რატუშის შენობა. იგი უზარმაზარია, მაგრამ მასში ჰარმონიულად არის შერწყმული მონუმენტურობა და სიმსუბუქე, მასიურობა და ხაზების დასრულებულობა. შორეული წარსულის შმენებლებს ჭეშმარიტად ღრმად ჰქონდათ შეცნობილი პროპორციების საიდუმლოება და არქიტექტურული ფორმების სრულყოფა. ამიტომ ახლაც კი მოჯადოებული ვრჩებით წარსული საუკუნეების ხუროთმოძღვართა ქმნილებებით აქაც, ტალინში, ჩვენს ძველ მცხეთაშიც, ზღაპრულ ბუხარაშიც, ოქროსგუმბათებიან სუზდალში. რატუშას განსაკუთრებულ განუმეორებელ სილამაზეს ანიჭებს არკადა და კოხტა რვაწახნაგოვანი კოშკი, რომელიც ფრონტონს ზემოთ მთელი 60 მეტრის სიმაღლეზეა აყვანილი.

კოშკის შპილი სადღაც მაღლა ცაში შემკულია ფლუგერით, რომელიც გამოსახავს ქალაქელ მეომარს — მოხუც თოომასს. მასზე ცალკე უნდა ვილაპარაკოთ. მოხუცი თოომასი ტალინისათვის თითქმის იგივეა, რაც თბილისისათვის ქართული დედის გამოსახულება. მას ხელში ალამი და მახვილი უჭირავს და განასახიერებს მამაცობას, მხედრულ სულს ტალინელებისას, რომლებიც მკერდით ხვდებოდნენ მტერს.

საუკუნეები გადის, მოხუცი თოომასი კი სულ დგას თავის საგუშაგოზე. დაკავირდები და მოგეჩვენება, რომ მკაცრ სახეზე კეთილი ღიმილი დასთამაშებს. იქნებ სამშობლო ქალაქის გაწამლეა უხარია? ან იქნებ ეს თვითონ ტალინი ეღიმის თავის ახალ ბედს საბჭოთა რესპუბლიკების ძმურ ოჯახში?

ᲠᲐᲢᲣᲨᲘᲡ წინ გადაშლილია მოედანი. მიდიხარ ამ მოედნით, აღმოჩნდები წარსულში. დაინახავ ევროპაში ყველაზე ძველ აფთიაქს, რომელიც ადამიანებს ემსახურება... 1442 წლიდან, დაინახავ მეფუნთუშეთა ვიწრო გასასვლელს ცნობილი სულიწმიდის ეკლესიით... და გეჩვენება, რომ მოედანზე კვლავ დინჯად მიემართებიან საშუალო საუკუნეების უცნაური ტანსაცმლით გამოწყობილი მოქალაქეები, რომ აქ კვლავ ხმაურობს ბაზარი და უზენაესის ნებით აღასრულებს სამართალს ჯალათი. მის მახვილს ხმა აწერია: „ღვთის წყალობა და ერთგულება ყოველ ღილით ახლდება. მახვილის აღმართვით ვეხმარები ცოდვილს საუკუნო ცხოვრება მოიპოვოს“.

...დროთა კაშკირი ვანუყრელია. უწარსულოდ არ არის აწმყო. ამაზე არ შეიძლება არ ფიქრობდე არა ყარტა მაშინ, როცა უყურებ ძველ კედლებს — წარსულის მდუმარე მოწმეებს, არამედ მაშინაც, როცა თანამედროვე ისტორიის ფურცლებს კითხულობ.

ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ მხოლოდ შეეშურდეს ის, თუ სიძველის დაცვის რა უნარი აქვთ ტალინელებს. სიძველეს ყოველი მხრიდან გარს აკრავს ახალი, მაგრამ ამავე დროს როდი ავიწროებს, როდი ფრენენს მას. ორგანულად შერწყმული ძველი და ახალი განუყოფელი არიან ქალაქის სახეში.

ᲢᲐᲚᲘᲜᲘ წელითაღწევია ეზრდება. ქალაქი სწრაფად აფართოებს თავის საზღვრებს. უკანასკნელ წლებში აღმართულმა კვარტალებმა უკვე დიდი მასივები შექმნეს. ერთი შეხედვით ისინი ზუსტად ისეთივე არიან, როგორიც ყველგან ჩვენს სხვა ქალაქებში.

ᲩᲔᲛᲡ გაოცებაზე მიპასუხეს, ეს მომავალი განაშენიანების უბანია, მისთვის არის მომზადებული გზები, რომლებიც მშენებლებისათვისაც საჭიროა და მობინადრეებისათვისაც.

და კიდევ ერთი დამახასიათებელი დეტალი. ახალ რაიონებში ბევრი ჩინებული, გემოვნებით გაფორმებული კაფეა. იქ კარგად შემზადებულ საჭმელსაც მიიღებთ და სითბოსა და მყუდროების ატმოსფეროშიც ოგრძნობთ თავს. კაფეში დასვენება ტალინელისათვის სასიამოვნო, ტრადიციად ქცეული ჩვევაა.

ᲐᲮᲚᲐ მოხუცი თოომასის ქალაქს ველარ იცნობ, მისი მოსახლეობა მოკლე ვადაში ორჯერ და მეტად გაიზარდა. ტალინი ახლა სახელგანთქმულია არა მარტო სიძველის რომანტიკით, არამედ მაღალგანვითარებული ინდუსტრიითაც. ელექტრომოტორებს, სინდიყის გამმართველებს, უახლეს ნახევარგამტარიან ხელსაწყოებს, რადიოტექნიკურ ნაკეთობებს, ნავთობის მრეწველობისათვის საჭირო მოწყობილობას — ყოველივე ამას აძლევენ ქვეყანას ტალინის საწარმოები. ეკონომიური და კულტურული კავშირის ათასობით ძაფი აერთიანებს მას ჩვენს თვალუწვდენ სამშობლოსთან. ნათქვამის მტკიცემეტყველური ილუსტრაცია იყო იმ თვითმფრინავის მგზავრთა შემადგენლობა, რომელმაც ტალინის აეროპორტში მიგვიყვანა. აქ იყვნენ — ქიმიკოსი-ტექნოლოგი მოსკოვიდან, რადიოზოგტოპების სპეციალისტი ციმბირიდან, ლიტერატორი ტაშკენტიდან, სპორტსმენები კიევიდან და მეშაბადურები შორეული კამჩატკიდან.

მაგრამ სწრაფი ზრდისასაც ტალინი თავის წყობაში, ყოველდღიურობაში ინარჩუნებს დამახასიათებელ სიდინჯეს, წესრიგს. აქ იშვიათად გაიგონებ ხმამაღალ, მკვახე ტონით ლაპარაკს, ვერ ნახავ აურზაურს. ქუჩებში და მოედნებზე სისუფთავეა გამეფებული.

ᲢᲐᲚᲘᲜᲘ პოეზიით არის აღსავსე. და ალბათ ამიტომ ასე მდიდარია იგი სკულპტურული ძეგლებით.

მე ვნახე რამდენიმე ძეგლი, რაც დაუდგამთ რევოლუციონერი ბალტიელებისათვის, რომლებმაც მკაფიო ფურცლები ჩაწერეს რევოლუციის მატიანეში, მამაცურად იბრძოდნენ საბჭოთა მიწაწყლისათვის.

ᲕᲔᲠᲐᲕᲘᲜ ვერ დარჩება გულგრილი იმათი ძეგლისადმი, ვინც თავისი სიცოცხლის ფასად გათავისუფლა ტალინი ჰიტლერელი დამპყრობლებისაგან. მას სწორედ ასეც ეწოდება — განმათავისუფლებელთა ძეგლი. ლია ფერის ბეტონის კედელთან დგას უბრალო ჯარისკაცის მეტყველი ფიგურა. იგი გამოხატავს მილიონობით საბჭოთა მეომრის ძალასა და გმირობას, სიდიადესა და მამაცობას. ყმაწვილები და მარადიული ცეცხლი აღიჭმება როგორც სიცოცხლისა და გმირობის უკვდავების სიმბოლო.

მწერალთა, მეცნიერთა, რევოლუციონერ მებრძოლთა ძეგლები მკაფიოდ

ᲮᲐᲚᲮᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲛᲘᲐ

ᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘ — ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ-ᲡᲐᲨᲔᲤᲝ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡᲢᲔᲑᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კულტურის მუშაკები დიდ საშეფო კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ეწევიან ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქისა და ამიერკავკასიის სასაზღვრო ოლქის მეომრებში.

თბილისის ხელოვნების მუშაკთა სახლში გაიმართა კულტურის მუშაკთა აქტივის კრება ჯარის ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად.

კრება გახსნა საქართველოს კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ე. გოგიაშვილმა.

მოხსენება „სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებისადმი 1967 წლის კულტურული შეფობის შედეგები და 1968 წლის ამოცანები“ გააკეთა რესპუბლიკური სამხედრო-საშეფო კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა დ. მეტელიძემ.

ცენტრალური სამხედრო-საშეფო კომისიის პასუხისმგებელმა მდივანმა ბ. კრინიცკიმ გამოაცხადა, რომ საქართველოს კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი და საქართველოს სამხედრო-საშეფო კომისია 1967 წელს კულტურულ სამხედრო-საშეფო მუშაობაში მაღალი მაჩვენებლებისათვის დაჯილდოებულია სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშით. სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს, კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური სამხედრო-საშეფო კომისიის დავალებით მან წითელი დროშა გადასცა საქართველოს კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარეს ე. გოგიაშვილს და რესპუბლიკური სამხედრო-საშეფო კომისიის თავმჯდომარეს დ. მეტელიძეს.

საქართველოს კულტურის მუშაკებს საპატიო ჯილდო მიეღოცა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სარდლის პირველმა მოადგილემ, სტანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტმა, ორგზის სამამულო კავშირის გმირმა დ. დრაგუნსკიმ. მან წაიკითხა სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის ბრძანება, რომლის თანახმად „სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების 50 წლის“ სამახსოვრო მედლებითა და საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ რესპუბლიკის სამხედრო-საშეფო კომისიის თავმ

საერთაშორისო ცხოვრება

მსოფლიოს ყურადღების ცენტრში

გამოხმაურება ა. ა. გრომიკოს მოხსენებაზე უცხოეთის პრესაში

● საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკა

● კიდევ ერთი ნაბიჯი საყოველთაო განიარაღების გზაზე

ტოკიო. (საკდესი). იაპონიის ყველა გაზეთი აშუქებს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს მოხსენებას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე „საერთაშორისო მდგომარეობისა და საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის შესახებ". სათაურებსა და კომენტარებში გაზეთები ძმაყოფილებით აღნიშნავენ ა. ა. გრომიკოს წინადადებებს, რომ საჭიროა ატომური იარაღის დანშულებულ სტრატეგიულ საშუალებათა ურთიერთშეზღუდვა და შემდგომი შემცირება, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის მოაწყოს აზრთა გაზიარება ამ საკითხზე. ათავსებენ მოხსენების დაწვრილებითს შინაარსს, გაზეთები ბაზს უსვამენ საბჭოთა კავშირის სერიოზულ განზრახვას — ყოველი ღონე იხმაროს გამალებული ატომური შეიარაღების თავიდან აცილებისათვის, მშვიდობის განმტკიცებისათვის.

თავის კომენტარში გავლენიანი გაზეთი „ასახი" აღნიშნავს „საბჭოთა კავშირის კურსის თანამიმდევრულობას". საბჭოთა კავშირის წინადადებებს, რომლებიც ა. ა. გრომიკოს მოხსენება შეიცავს, გაზეთი საღ წინადადებებს უწოდებს.

„ტოკიო სიმბუნი" აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის მოაწყოს აზრთა გაზიარება შეთანხმების მისაღწევად, რომ მხარეებმა შეზღუდონ და შემდგომ შეამცირონ შეტევითი და თავდაცვითი, მათ შორის რაკეტსაწინააღმდეგო ატომური იარაღის დანიშნულებისამებრ მიტანის სტრატეგიული საშუალებანი. კრისტიანმა კორესპონდენტებს აცნობა, რომ ა. ა. გრომიკოს მოხსენებას გულდასმით აანალიზებენ თეთრ სახლში.

როგორც იუწყება იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტო, რომელიც იმოწმებს ოფიციალურ პირებს, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი დ. რასკი სწავლობს წინადადებებს, რომლებიც სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა წამოაყენა. სახელმწიფო დეპარტამენტის პრესის საკითხთა წარმომადგენელმა რ. მაპლსკიმ განაცხადა, რომ ეს წინადადებები „შრიალ დამაინმედებელია".

ბერლინი. (საკდესი). „საბჭოთა კავშირი ატომრციისგან საგარეო პოლიტიკის ლენინურ პრინციპებს" — ასეთი სათაურით გაზეთმა „ნოიეს დოიჩლანდმა" დღეს გამოაქვეყნა დაწვრილებითი შინაარსი სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს მოხსენებისა საერთაშორისო მდგომარეობისა და საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე, სესიის მუშაობის დამთავრება და ა. ა. გრომიკოს მოხსენება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის აგრეთვე სხვა გაზეთების თავავრი თემაა.

„ნოიეს დოიჩლანდი", აბასიათებს რა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის გაოსვლას, როგორც „ბანსაკუთრებით მნიშვნელოვან მოვლენას", ხაზს უსვამს, რომ „ევროპის უშიშროების უზრუნველყოფისათვის საჭიროა კონსტრუქციული ნაბიჯები". „ამას, — აღნიშნავს გაზეთი, — დროება გვიკარნახებს".

გაზეთი ხაზს უსვამს მოხსენების იმ ადგილს, რომელიც შეიცავს გაფრთხილებას საშიში ნიშნების წინააღმდეგ დასავლეთ გერმანიის პოლიტიკურ განვითარებაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა, — წერს „ბერლინერ ცაიტუნგი", ერთსულოვნად მოიწონეს საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკა.

ოსლო. (საკდესი). ნორვეგიის პრესის ყურადღების ცენტრშია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობისა და საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის შესახებ.

დიდი სათაურებით დაბეჭდილ ცნობებში გაზეთები „აფტენპოსტენი" და „მორგენპოსტენი" ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საბჭოთა მთავრობა მზად არის განახორციელოს საყოველთაო და სრული განიარაღების პროგრამა.

ამავე დროს გაზეთი „ნაშუნენი" აღნიშნავს, რომ როგორც სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, „საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობას კვლავ ამძიმებს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულობა საგარეო პოლიტიკაში, და უწინარეს ყოველისა მის მიერ გაჩაღებული ვიეტნამის ომი".

კანბერა. (საკდესი). ავსტრალიის გაზეთები პირველ გვერდზე ბეჭდავენ ცნობებს ა. ა. გრომიკოს მოხსენების შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე. გაზეთები ხაზს უსვამენ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მის განცხადებას, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის მოაწყოს აზრთა გაზიარება შეთანხმების მისაღწევად, რომ მხარეებმა შეზღუდონ და შემდგომ შეამცირონ შეტევითი და თავდაცვითი, მათ შორის რაკეტსაწინააღმდეგო ატომური იარაღის დანიშნულებისამებრ მიტანის სტრატეგიული საშუალებანი.

მსოფლიოს დეპეშათა საგენტოები იუწყებიან

საბჭოთა კავშირი, წერს გაზეთი „კანბერა ტაიმსი", სთავაზობს დასავლეთის ქვეყნებს, რომლებსაც ატომური იარაღი არა აქვთ, მიუსწდნენ მოლაპარაკების მაგიდას და სერიოზულად განიხილონ ატომური იარაღის გაფოფინების აკრძალვის შესახებ საერთაშორისო კონვენციის დადების საკითხი.

რომი. (საკდესი). „დიდმნიშვნელოვანი მოხსენება", — ასე უწოდებს დღეს გაზეთი „უნიტა" ა. ა. გრომიკოს მოხსენებას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე.

გაზეთი ვრცლად აშუქებს მოხსენებას. „უნიტა" ხაზს უსვამს, რომ **საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის მთავარი ღერძია პროლეტარული ინტერნაციონალიზმისადმი, მშვიდობიანი თანამშრომლობისა და ყველა ხალხის მშვიდობის უზრუნველყოფის ამოცანებისადმი ერთგულება.** გრომიკომ, წერს გაზეთი, კვლავ დაადასტურა სსრ კავშირის სრული სოლიდარობა ყველა მებრძოლი ერისადმი, და უწინარეს ყოვლისა ვიეტნამელი ხალხისადმი.

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐ ●

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲚᲘᲤᲢᲘ

ᲕᲚᲔᲢᲘᲜᲘᲡ ელექტროტექნიკური ქარხნის კოლექტივმა შექმნა ახალი სპეციალური აპარატი ჩქაროსნული ლიფტისათვის, რომელიც დამონტაჟდება მაღლივ შენობებში. ახალი ლიფტები წამში 2 მეტრის სიჩქარით იმოძრავებენ.

რამდენიმე ასეთი აგრეგატი უკვე მიღებულია საბჭოთა კავშირში ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოსა და დედაქალაქის მთელ რიგ მაღლივ შენობებში დასადგმელად.

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘ ●

ᲙᲘᲑᲔᲠᲜᲔᲢᲘᲙᲐ — ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲡᲚᲘᲡ

ᲔᲠᲗᲘ წლის წინათ სოფიაში შექმნილი სამშენებლო კიბერნეტიკის ინსტიტუტი სხვადასხვა სამშენებლო კონსტრუქციათა გაანგარიშებას აწარმოებს. ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების საშუალებით ინსტიტუტის თანამშრომლებმა უკვე დაამუშავეს ვარიანტები 150 ობიექტისათვის. ინსტიტუტი აწარმოებს აგრეთვე გაანგარიშებებს ისეთი საინჟინრო ნაგებობებისათვის, როგორიც არის გზატკეცილები, წყალგაყვანილობის სისტემა, სარწყავი არხები და ა. შ.

ბულგარელი მეცნიერები წარმატებით თანამშრომლობენ საბჭოთა კავშირისა და ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების კიბერნეტიკოსებთან.

ᲒᲓᲠ ●

ᲡᲘᲐᲮᲚᲔ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐᲨᲘ

ᲓᲠᲔᲖᲓᲔᲜ-ფრიდრიხშტადტის საოლქო საავადმყოფოში შეიქმნა ტელემეტრიული პოსტი პაციენტების მეთვალყურეობისათვის. იგი აღჭურვილია სპეციალური ხელსაწყოებით, **რომლებითაც ხდება** პაციენტთა მაჯისცემის სიხშირის, სხეულის ტემპერატურის სადისტანციო გაზომვა, რეგისტრაცია და კონტროლი. ელექტროკარდიოგრამები და ელექტროენცეფალოგრამები გადაეცემა 6-არხიანი ოსცილოსკოპით.

ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში ტელემეტრიულ პოსტთან ჩართულია ყველა საწოლი.

მორიგე ექთანი ერთდროულად თვალს ადევნებს ცენტრალური ტაბლოს მაჩვენებლებს და პაციენტების მდგომარეობას. დამით კონტროლი სპეციალური სატელევიზიო დანადგარით ხორციელდება.

ᲘᲣᲒᲝᲡᲚᲐᲕᲘᲐ ●

ᲞᲐᲛᲘᲓᲝᲠᲘ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ... ᲮᲠᲘᲨᲖᲔ

ᲡᲐᲚᲘᲪᲘᲡ მახლობლად მდებარე სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტის მუშაკებს ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე პამიდორი უჩვეულო მეთოდით მოპყავთ. ერთ-ერთ საცდელ ნაკვეთზე პამიდორი იზრდება უშუალოდ ხრეშზე. წყალი, რომელითაც მცენარეს რწყავენ, ყველა ხაჭირო საკვებ ნივთიერებას შეიცავს.

ექსპერიმენტი წარმატებით განხორციელდა. პამიდორის მოყვანის ახალი მეთოდი ახლა დიდ ფართობებზე ინერგება.

ᲙᲣᲑᲐ ●

ᲞᲝᲚᲘᲝᲛᲘᲔᲚᲘᲢᲘ ᲣᲐᲜ ᲘᲮᲔᲕᲡ

კუბა პირველი ქვეყანაა ლათინურ ამერიკაში, სადაც მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება უფასოა. ახალგაზრდა რესპუბლიკაში პირველად ამ კონტინენტზე ლიკვიდირებულია პოლიომიელიტი.

ამას წინათ ჩატარდა ოთხ წლამდე ასაკის ყველა ბავშვის ვაქცინაცია. ასეთი ღონისძიება უკვე მეშვიდეჯერ ეწყობა. 708 ათასმა ბავშვმა მიიღო კარამელი პოლიომიელიტის საწინააღმდეგო ვაქცინით, რომელსაც კუბას საბჭოთა კავშირე აწვდის. უკანასკნელ წლებში კუბაში ამ ავადმყოფობით დაავადების არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა.

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ. ქალაქ ვარშავაში გაიხსნა ევროპაში პირველი პლაკატის მუზეუმი, რომელსაც ყოველთვის მრავალი დამთვალიერებელი ჰყავს. ფოტო ცაფ-საკდესისა.

ᲓᲦᲔᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ

ᲐᲑᲔᲠᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲬᲝᲚᲔᲑᲐ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. 29 ივნისი (საკდესი). ამერიკის ხელისუფლებამ საპყრობილეში ჩასვეს ვაშინგტონში ღატაკთა ლაშქრობის ხელმძღვანელი მღვდელი რალფ აბერნეტი იმისათვის, რომ ეხმარებოდა მშიერ და უუფლებო ადამიანებს.

კოლუმბიის ფედერალური ოლქის საპატიმროში გაკეთებულ განცხადებაში იგი გულისწყრომით ვმობს ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებს, რომლებიც გულგრილად ეკიდებიან მოსახლეობის უღარიბესი ფენების ბედს. „ამერიკის შეერთებული შტატები ნამდვილად ავადმყოფი ქვეყანაა, — განაცხადა აბერნეტიმ — ამერიკელებს ყოველთვის უპირდათ ღირსების გრძნობისათვის და სამართლიანობისათვის ბრძოლა, მაგრამ ახლა ნაოელი ხდება, რომ ბრძოლა ღარიბთა ცხოვრებისა და ჭამის უფლებისათვის მოითხოვს თითქმის რევოლუციურ შეტევას კონგრესსა და სახელმწიფოზე". მან ამერიკელ მოქალაქეებს მოუწოდა „შექმნან ორგანიზაციები, იბრძოლონ თავიანთი მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის, მისწერონ პრეზიდენტსა და კონგრესს, მონაწილეობა მიიღონ საპროტესტო დემონსტრაციებში შეერთებულ შტატებში შიმშილისა და სიღატაკის წინააღმდეგ".

აბერნეტიმ ზანგების უუფლებობისა და ძალადობის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად შიმშილობა გამოაცხადა. „ვლოცულობ — განაცხადა მან, — რომ ქვეყანამ დაინახოს არა მარტო ჩემი შიმშილი, არამედ მრავალი ათასი უდანაშაულო ქალის, ბავშვისა და კაცის შიმშილიც".

ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ნიუ-იორკი, 29 ივნისი. საკდესის კორესპონდენტი ლ. იადროშნიკოვი იუწყება: 5 აგვისტს მიამი-ბიჩში (ფლორიდის შტატი) ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის კანდიდატის დასასახელებლად გაიმართება რესპუბლიკური პარტიის ყრილობა. ყრილობის მონაწილეთა უშიშროების უზრუნველყოფად გამოყენებენ ტყვიაგაუმტარ ჟილეტებს, ოპტიკურ სამიზნიან შაშხანებს, პისტოლეტებს, ცრემლსადენგაზიან გრანატებს.

მაიამი-ბიჩის საქალაქო მუნიციპალიტეტში უკვე გამოყვეს საჭირო სახსრები ამ ამუნიციის შესაძენად, აგრეთვე ორმეტრიანი გალავნის ასაშენებლად იმ შენობის გარშემო, სადაც ყრილობა გაიმართება.

უშიშროების უზრუნველყოფის სისტემაში გათვალისწინებულია იმ ხიდებისა და გადასასვლელების მისადგომი გზების შეკვრა, რომლებიც ამ კუნძულის ქალაქის ძირითად რაიონებს აკავშირებენ.

ყრილობის მზადების გეგმებზე ილაპარაკა ადგილობრივი პოლიციის უფროსმა როსკი პომერანცემ. „რა თქმა უნდა, — განაცხადა მან, — ყველაზე საამოდოა ქალაქის ქუჩების ჩაკეტვა ტანკებით, მაგრამ ეს უკვე პოლიციურ სახელმწიფოს დაემსგავსება, რაც საკმაოდ ეწინააღმდეგება შეხედულებას, რომელიც მსოფლიოს უნდა ჰქონდეს ამერიკაზე".

ᲓᲐᲞᲐᲢᲘᲛᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲨᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. 29 ივნისი. (საკდესი). გუშინ პოლიციამ კვლავ დაუპატიმრა იმ დემონსტრაციის მონაწილენი, რომელიც გაიმართა კონგრესის შენობის წინ შიმშილისა და უთანასწორობის წინააღმდეგ ამერიკელ ღატაკთა ბრძოლის მხარდასაჭერად. დაპატიმრებულია 82 კაცი, მათ შორის „ვაშინგტონში ღატაკთა ლაშქრობის" ერთ-ერთი ხელმძღვანელი ხ. უილიამსი.

როგორც კი დემონსტრანტთა პირველმა ჯგუფმა კონგრესის ტერიტორიაზე შედგა ფეხი, მას მაშინვე მჭიდროდ შემოერტყა გარს პოლიციელთა რაზმი. პოლიციის უფროსმა მოითხოვა, რომ ისინი დაუყოვნებლივ დაშლილიყვნენ. დემონსტრანტებმა უარი თქვეს დაშლაზე და ამას მოჰყვა დაპატიმრებანი. დაპატიმრებულთაგან ადგილზვევე იღებდნენ თითების ანაბეჭდებს. შემდეგ ისინი ჩაყარეს პოლიციის მანქანებში და წაიყვანეს.

კონგრესთან მოვიდა აგრეთვე რამდენიმე ასეული კვაკერი. ისინი გამოვიდნენ ნიუ-იორკიდან, დეტროიტიდან და ამერიკის შეერთებული შტატების სხვა ქალაქებიდან, რათა თავიანთი სოლიდარობა გამოეცხადებინთ ამერიკელი ღატაკების ბრძოლისათვის.

ღატაკთა ლაშქრობის მონაწილენი განაგრძობენ ბრძოლას. გუშინ ღარიბთა ჯგუფი კვლავ მივიდა მიწამთმოქმედების მინისტრთან, რათა ეთხოვა დახმარება, მაგრამ მინისტრმა არ მიიღო ისინი.

ღატაკთა ლაშქრობის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა მღვდელმა ედდრიუ იანგმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ თეთრი სასლი და იუსტიციის სამინისტრო პასუხს აგებენ ამერიკის დედაქალაქში ჩამოსულ გალატაკებულ ამერიკელთა წინააღმდეგ ხელისუფლების ყველა მოქმედებისათვის, რადგან ისინი ჩამოვიდნენ აქ თავიანთი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ამერიკის ხელისუფლებამ, ხაზგასმით აღნიშნა იანგმა, პოლიციური ბრალდებით უპასუხეს ღატაკთა მოთხოვნებს მათი მძიმე ცხოვრების შემსუბუქების შესახებ.

ᲛᲐᲙᲢᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲘᲫᲕᲘᲠᲔ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 29 ივნისი. (საკდესი). **სულ უფრო ძვირდება ცხოვრება ამერიკის შეერთებულ შტატებში. შრომის სამინისტრო იუწყება, რომ მაისში საკონელი, განსაკუთრებით სურსათი კვლავ გაძვირდა. ფასების ინდექსი სამომხმარებლო საკონელზე წინა თვეში 4,1 პროცენტით აღემატებოდა შარშანდელ მაისში აღნიშნულ ინდექსს.**

ფასების ზრდა აზარალებს მშრომელ მასებს, რომელთა რეალური ხელფასი ახლა უფრო მცირეა, ვიდრე გასული წლის ზაფხულში.

ᲣᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲝ ᲘᲐᲠᲐᲚᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 29 ივნისი. (საკდესი). **სენატის იურიდიულმა კომისიამ გაილაშქრა იმის წინააღმდეგ, რომ კონგრესმა მიიღოს კანონპროექტი ამერიკის შეერთებულ შტატებში კერძო პირთა ხელთ არსებული ცეცხლსასროლი იარაღისადმი უფრო მკაცრი კონტროლის დაწესების შესახებ.**

ახლა კერძო პირთა ხელშია 150 მილიონ ერთეულზე მეტი ცეცხლსასროლი იარაღი. თეთრმა სახლმა შეიმუშავა სპეციალური კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს იარაღისადმი უფრო მკაცრი კონტროლის დაწესებას.

სენატის იურიდიულმა კომისიამ 7 ხმით 5 ხმის წინააღმდეგ გადადო ამ კანონპროექტის განხილვა კიდევ ორი კვირით. ეს გადადება შეიძლება საბედისწერო გამოდგეს მთელი კანონპროექტისათვის.

კერძო პირთა ხელში არსებული იარაღისადმი უფრო მკაცრი კონტროლის ერთ-ერთმა მომხრემ სენატორმა ტაიდინგსმა სენატის „იურიდიულ კომისიაში კენჭისყრის შემდეგ განაცხადა, რომ „წელს არც თუ ისე საამოდოა იარაღისათვის მეტი პასუხისმგებლობის კანონმდებლობის მიღების პერსპექტივა".

ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. 29 ივნისი. (საკდესი). ბელგიის პარლამენტის წარმომადგენლობა ჰალატამ ნდობა გამოუცხადა ახალ მთავრობას, რომელსაც ჟ. ვისკენსი მეთაურობს.

ᲔᲡᲔᲚᲘ ᲨᲕᲔᲓᲘ „ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝ"!

ᲕᲘᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲡᲐᲥᲣᲠᲗᲕᲔᲚᲝᲖᲔ

„ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲘᲡ ტერიტორიის მეხუთედი ნაწილი უკვე მიყიდულია... ძირითადად ამერიკული წარმოშობის უცხოელებისათვის", — აღიარა ბრაზილიის იუსტიციის მინისტრმა და გამაერთიანებელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომაგენელ დეპუტატთა პალატის იმ კომისიაში, რომელიც იძიებს ნაციონალური მიწების მიტაცებას უცხოელების მიერ, მან აღნიშნა, რომ ჯერჯერობით შემოწმებულია მხოლოდ ნახევარი იმ დოკუმენტებისა, რომლებიც მიწების შეძენას ეხება, და, მაშასადამე, მის მიერ მოყვანილი ციფრი შეიძლება გაცილებით მეტი აღმოჩნდეს.

უკანასკნელი ათეული წლის განმავლობაში ჩილის ფასად შესყიდულ იქნა მილიონობით ჰექტარი მიწები მდინარე ამაზონის შესართავში — რაიონში, სადაც ოქროსა და ურანის უმდიდრესი ბუნებრივი საბადოებია, პოლიციის დახმარებით ეს ტერიტორიები აღგილობრივი მოსახლეობისაგან გაწმინდეს და ეკლიანი მავთული შემოავლეს.

როკფელერების კლანმა ბრაზილიაში შეიძინა მიწის ნაკვეთი, რომელიც ფართობით ბელგიისა და პოლანდიის ტერიტორიას აღემატება. ასეთივე ტერიტორია შეისყიდა მულტიმილიონერმა პენრი ფალერმა. გაჩაღებულია ბრაზილიის წიაღის შტაცებლური ექსპლოატაცია. მაგრამ ეს თავისთავად შემაშფოთებელი ფაქტი ეროვნული ტრაგედიის მხოლოდ ერთ-ერთი ასპექტია.

პენტაგონი მრავალი წლის განმავლობაში ცდილობდა მიეღო ბრაზილიის მთავრობისაგან (იმის უფლება, რომ ამაზონის შესართავში განალაგოს საკონტინენტთაშორისო რაკეტების გასაშვები სამხედრო ბაზები. უარი რომ მიიღო, პენტაგონმა თავისი ტაქტიკა შეცვალა და მესამე პირების მეშვეობით შეუდგა ბრაზილიის იმ ტერიტორიების შესყიდვას, რომლებიც აინტერესებს. სწორედ ასეთი სახე აქვს ჩრდილოეთ ამერიკის რომელიღაც კომპანიის მიერ პარას შტატში მიწის უზარმაზარი მასივების შესყიდვას. ახლა ამ ტერიტორიაზე სასტიკი სიდუმლოების ვითარებაში მიმდინარეობს რაკეტებისათვის შახტებისა და სასტარტო ბაქნების მშენებლობა.

ამერიკის ექსპანსია ბრაზილიაში სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს ბრაზილელი ერის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტისათვის. ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო „მრჩევლები" გულმოდგინედ აძლიერებენ ბრაზილიაში სამხედრო ისტერიის ატმოსფეროს და ყოველნაირად აქეზებენ ქვეყნის მილიტარიზაციას. ბრაზილიის სამხედრო ძალებში ახლა 600 ათასი კაცი ითვლება — ეს ციფრი დიდია იმ ქვეყნისათვის, რომლის ეკონომიკა ღრმა კრიზისს ვიცდიდის.

საერთაშორისო იმპერიალიზმი ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით სამხედრო ავანტიურებს საშიშ გზაზე უბიძგებს ამერიკის კონტინენტის სხვა ქვეყნებსაც — არგენტინას, პერუს, ბოლივიას და სხვ. კონტინენტის მშრომელთ მხრებზე აწევება სამხედრო ხარჯების სულ უფრო მზარდი ტვირთი, მილიტარისტული პოლიტიკის უღელი.

ᲐᲑᲔᲠᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲬᲝᲚᲔᲑᲐ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. 29 ივნისი (საკდესი). ამერიკის ხელისუფლებამ ეკლესიის ეპისკოპოსი ჯ. ედგარ ჰოვერი, ამერიკის ფედერალური ბიუროს ხანგრძლივი ხანის ხელმძღვანელი, ოფიციალურად „ოფიციალურ" ადამიანად გამოაცხადა. ეს ნიშნავს, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ჰოვერის ბიოგრაფიის, ანკეტის, ავტობიოგრაფიის, ფოტოსურათების, ფოტოასლების, ფოტოკოპიების, ფოტოგადაღებების, ფოტოფილმების, ფოტოფირფიტების, ფოტოფირების, ფოტოალბომების, ფოტოგალერეების, ფოტოგამოფენების, ფოტოკოლექციების, ფოტოგრაფიული ალბომების, ფოტოგრაფიული ბიბლიოთეკების, ფოტოგრაფიული ბიბლიოგრაფიების, ფოტოგრაფიული ბიბლიოგრაფიული ალბომების, ფოტოგრაფიული ბიბლიოგრაფიული ბიბლიოთეკების, ფოტოგრაფიული ბიბლიოგრაფიული ბიბლიოგრაფიების, ფოტოგრაფიული ბიბლიოგრაფიული ბიბლიოგრაფიული ალბომების, ფოტოგრაფიული ბიბლიოგრაფიული ბიბლიოგრაფიული ბიბლიოთეკების, ფოტოგრაფიული ბიბლიოგრაფიული ბიბლიოგრაფიული ბიბლიოგრაფიების, ფოტოგრაფიული ბიბლიოგრაფიული ბიბლიოგრაფიული ბიბლიოგრაფიული ალბომების, ფოტოგრაფიული ბიბლიოგრაფიული ბიბლიოგრაფიული ბიბლიოგრაფიული ბიბლიოთეკების, ფოტოგრაფიული ბიბლი

ნაირ-ნაირი

გვაცყობინებენ „კომუნისტის“ კორესპონდენტები

სიცოცხლე გადარჩა...

ეს მოხდა ქუთაისში. პატარა ბიჭები რიონის პირას, არხის სათავის ახლოს ჭყუმპალაობდნენ. მეექვსეკლასელი ოთარ ცაგურიშვილი ტალღებს გამოეყო და რეზინის საბურავით არხში ჩაეშვა. მაგრამ ბიჭს ბედმა უმტყუნა, საბურავი გასკდა. ბავშვმა ცურვა არ იცოდა და ყვირილი მორთო. შემთხვევის ადგილზე მისულმა ხალხმა შეამჩნია, რომ ტალღებმა წყალწაღებული არხზე გადადგმული გვირაბიდან გამოაგდო. ყველა ღელავდა, მაგრამ ამ ადგილზე არხში ჩასვლა ვერავინ გაბედა— ბეტონის კიდლები ცივაბოა — სამ მეტრამდე სიმაღლისა.

დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. იქვე მცხოვრები სამამულო ომის მონაწილე, თადარიგის ოფიცერი კუჭური ჭეიშვილი მყისვე წყალში გადაეშვა და მომაკვდავი ბიჭი ტალღებს გამოსტაცა, ნაპირზე გამოიყვანა. აქ კი, ჯერ ლითოფონის ქარხნის მძღოლის ვახტანგ ხოშტარიას, მერე ქალაქის პირველი პოლიკლინიკის მთავარი ექიმის გრიგოლ ორჯონიკიძის მეცადინეობით ბიჭს სასწრაფო დახმარება აღმოუჩინეს, მოასულიერეს.

მამაცი და კეთილი ადამიანების წყალობით ნორჩი სიცოცხლე გადარჩა.

შ. ჯავახაძე.
(საკ. კორ.).

საიუბილეოდ

ნ. ბარათაშვილის დაბადების 150 წლისთავისათვის

დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების 150 წლისთავთან დაკავშირებით კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში გაიმართა თემატური საღამო.

მოხსენება — „ნიკოლოზ ბარათაშვილის პრობლემატიკა“ — წაიკითხა პროფესორმა დ. ბენაშვილმა; თემაზე — „ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი მეგობარი ქართველი ქალები“ დამსწრეებს ესაუბრა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ნ. ჩახლაძე; „ნიკოლოზ ბარათაშვილი და ილია ჭავჭავაძე“— ასეთი იყო ულარლის ი. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის დირექტორის ი. ბეროშვილის საუბრის თემა. დოცენტმა ი. მაისურაძემ ილაპარაკა „მერანის“ ენობრივ-სტილისტურ მხარეზე.

ბიბლიოთეკის ვესტიბიულში მოეწყო ბუკლეტი. მის სტენდებზე ქართულ, რუსულ, იტალიურ, ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ და სხვა ენებზე განლაგებული მასალები ნათლად ასახავენ ნ. ბარათაშვილის ცხოვრებას.

ს. გიორგიძე.

„საქართველოს აგიტატორი“ № 12

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების ჟურნალ „საქართველოს აგიტატორის“ მორიგი მე-12 ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია: **გ. ალავერდაშვილი** — მასწავლებელი; **კ. დავითაძე** — შემოქმედებითი აქტივობა. როგორ აღვზარდოთ ბავშვი? **ლ. ასათიანი** — შრომისა და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის; **ვ. დავითულიანი** —ერთი კოლმეურნეობის პოლიტინფორმატორები; **ო. დოლიძე** — მშრომელთა საწარფლო დასვენება; **გ. ჩიტაია** — სახალხო უნივერსიტეტი — მასობრივი პროპაგანდის ქმედითი ფორმა; **ს. ხეთაგური** — ზეპირი ჟურნალი მეცხოველეობისათვის; **მ. შიხაშვილი** — საბჭოთა სამომხმარებლო კოოპერაცია — ხალხის სამსახურში; **შ. ნოზაძე** — მემარცხენე ძალების დიდი წარმატება იტალიაში; **ლ ინასარიძე** —მესხეთ-ჯავახეთის ძეგლები და სხვა მასალები.

ფელეტონი

თაღლითი სანავარდოს ქუჩიდან

ერთხელ თავისი ქუჩის სახელის გასხენებაზე ქეთო სიცილი წასკდა.

— სანავარდო? შესანიშნავია, ზედ გამოჭრილი. შენც, ქეთო დოლიძე, მოდექი და ინავარდე! — თქვა თავისთვის და ეზოს წინ მდგომ საკუთარ მსუბუქ ავტომანქანა „ზიმს“ გრო 05-88, ღიმილით გადახედა, — მერანი არ მივარგა, თუ? ვიჩქაროთ, ვინავარდოთ!..

ათი წუთის შემდეგ ქეთო ივანეს ასული დოლიძე (იავეი ქ. ი. ოგანეზოვა) ნაფარეულის ქუჩაზე № 14 სახლში მცხოვრებ შოთა მჭედლიძეს დათქმულ დროზე შეხვდა.

— იმ დღესაც ხომ გითხარი, უმაღლესი არა მაქვს დამთავრებულიმეთქი, — კვლავ გულსხლილად გამოუტყდა დამხვეური.

— ძნელი საქმეა, მაგრამ რა გაეწყობა, კაცს ჭირში უნდა შველა, თორემ დაწყობილ სუფრაზე ყველა ოროველას იმღერებს. თქვენს საქმეში ერთი ისეთი კაცი უნდა ჩაგრიო... მაგისათვის შენც კარგად იცი რა არის საჭირო!

— ყველაფერზე ყაბულსა ვარ!

— ჯერჯერობით დონეცკის სავაჭრო ინსტიტუტში ჩაგრიცხავ... შემდეგ იქნდან თბილისში გადმოგრიცხავ... კო, მართლა, ერთხანს უბინაობაზეც ზუზუნებდი, რა იყო, რა მოხდა?

შოთა მჭედლიძემ ღრმად ამოიოხრა:

— ნახევრად სარდაფში ვცხოვრობ...

— ვაი სირცხვილო, ასეთ ვაჟკაცს დღემდე ბინა ვერ მოგიხერხებია, თუმცა, მაგრამ...

— თქვი, რა მაგრამ, კაცი ფიქრებისაგან ჩამოვდნი!

— ყველაფერი მხოლოდ შენზეა დამოკიდებული!..

გადაწყვიტეს: თანახმად მეგობრული, გულთბილი შეხვედრებისა და მოლაპარაკებისა, უმაღლეს სასწავლებელში მოსაწყობად შოთა მჭედლიძემ ქეთო დოლიძეს ვიღაც „თანამეგობრის“ პირისათვის მისართმევად წინასწარ მისცა 4.000 მანეთი. ახალ ბინაში შესასვლელად კი 6.500 მანეთი. სულ 10.500 მანეთი.

— შე კაი ადამიანო, რატომ ჩაგიყარდა ენა, ერთი გასროლით ორი კურდღელი მოკალი... თუ გული რამეზე გეთანაღრება, უკან წაიღე ეს ფული, მე სხვა საქმეებიც ბევრი მაქვს...

— ქეთინო, არ დამღუპო, შემიბრალე!

— ნამდვილად მიცოდები... რაც არის, არის, მომეცი შენი სიმწიფის ატესტატი და სხვა დოკუმენტები!

ათი ათას ხუთასი მანეთის დათვლას ერთი საათი დასჭირდა.

— რა ბეჭა, გენაცვალე, მერიდება ამ თანამდებობის კაცისა, კაპიკი რომ დავაკლო, სამუდამოდ ლუმას დაკარგავ...

რამდენიმე დღის შემდეგ ქ. დოლიძემ შ. მჭედლიძის სასახარულო დოკუმენტი თვალებში მიაჩეჩა:

— აჰა, იხარე და ილაღე!

ეს ყალბი ქაღალდი ღაღადებდა, რომ შოთა ანტონის-ძე მჭედლიძე ნამდვილად ჩარიცხულია დონეცკის ვაჭრობის ინსტიტუტში, გავლილი აქვს პირველი და მეორე კურსი..

— ვაშა, ვაშა! — სიხარულით აღმოხდა შოთას.

ქეთო დოლიძემ მასვე გააცნო აღნიშნული ინსტიტუტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანის ყალბი ბრძანების შინაარსი, რომელიც იტყობინებოდა, რომ შ. მჭედლიძე თავისი სურვილის მიხედვით დასახელებული ინსტიტუტიდან წავიდა სხვა უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გასაგრძელებლად.

— დატრიალდი, — განაგრძო სიტყვა ქ. დოლიძემ, — საოჯახო ახალი ტიპის ნივთები მოძებნე, ისე რომ სამი ოთახი დაამშვენოს! ახალ ჭერს დალოცვა უნდა, მხოლოდ მე არ გამოგრჩე...

— სიხარულისაგან რა გავაკეთო, აღარ ვიცი! — უპასუხა გახარებულმა მჭედლიძემ.

მეორე დილით ქ. დოლიძის ბინის კარი ადრიანად აჭრიალდა.

— ო, მობრძანდით, დაბრძანდით, — შეეგება დიასახლისი ანაკ სტუმარს. იგი შოთა მუმლაძე იყო. მან დაწვრილებით გაანდო თავისი ჭირვარამი ქეთო დოლიძეს.

— ამ უკანასკნელ ხანს სამედიცინო ინსტიტუტში აბიტურიენტის მოწყობა, შენც კარგად იცი, გაძნელდა, — დინჯად მოუჭრა ქ. დოლიძემ, მარტო მე ვარაფერს გავხდები...

— მიგიხვდი, თანახმა ვარ!

— მხოლოდ ერთი პირობით, ჯერჯერობით ქალაქ ტომსკთან გვექნება საქმე, ე. ი. იმ ქალაქში მოუხდება სწავლა შენს შვილს.

— ეგრე იყოს!

— ერთი ჩემი ნაცნობი, ჯინც ამ საქმეს გაგიკეთებს, შვიდს ითხოვს.

— იყოს!

დასახელებული თანხა 7.000 მანეთი აბიტურიენტ ჯენარი შოთას-ძე მუმლაძის მამამ ქ. დოლიძის საკუთარ ბინაში გადასცა, თვითონ კი ათასი ფიქრით დამძიმებული წალენჯიხის ქუჩისაკენ წავიდა, სადაც თვითონ ცხოვრობს.

ენით აუწერელი იყო შოთა მუმლაძის სიხარული, როცა მას ქ. დოლიძემ ყალბი სტუდენტიანი ჩაუბარა. შოთას მამამ სწრაფად გადაკითხა: „ჯენარი შოთას-ძე მუმლაძე ტომსკის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტია“.

გზაბნეული და ბრიყვი აბიტურიენტები თვეზებივით ეუმბოდნენ ქ. დოლიძის მიერ გადაგდებულ ანკესზე. ქ. დოლიძემ უმაღლეს სასწავლებელში შვილის მოსაწყობად ნ. ჭუმბურიძეს 1.500 მანეთი მოსთხოვა და აჩვენა ცნობა, რომ მისი შვილი თითქოს ნამდვილად ჩარიცხულია დონეცკის ვაჭრობის ინსტიტუტის პირველ კურსზე.

— ეგ საკენკი შენს ქათმებს დაუყარე, სასწრაფოდ დამიბრუნე შვილის სიმწიფის ატესტატი!.. კატეგორიულად უთხრა ნ. ჭუმბურიძემ.

ქეთო დოლიძე ციებ-ცხელებამ აიტანა:

— თუ სიკეთე არ გინდა, ძალიან კარგი — შენ შენთვის, მე ჩემთვის... მაგრამ გვიანი იყო. ნ. ჭუმბურიძის შვილის სიმწიფის ატესტატი და სხვა დოკუმენტები თბილისის მილიციის სამმართველოს მუშაკების მიერ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეში აღმოჩნდა ჩაკერებული.

— გვიშველეთ, შეგიდით... — შეიცხადეს დოყლაპია მამებმა, დედიკოებმა, გაწბილებულმა აბიტურიენტებმა. მატყუარა, ბოროტისმქმნელი ქ. დოლიძე გამოცდებში მწარედ ჩაიჭრა. ახლა მის ბნელ საქმეებს ქალაქ თბილისის პროკურატურის ორგანოები ირკვევენ.

სასტიკად ჩაიჭრნენ აჯრეთვე იოლი გზით ცოდნის მწვერვალების დამპყრობნი.

ქეთო დოლიძის „ინსტიტუტში“ აბიტურიენტების მიღება შეწყდა.

მ. ჯაფარიძე,
ა. გოცირიძე.

სიცოცხლე გადარჩა...

წერილი ბრაზილიიდან

პელე—ქართველ მოცეკვავეთა მასპინძელი

საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის გასტროლები ბრაზილიაში წარმატებით გრძელდება.

თითქმის შვიდმილიონიანი სანპაულო დიდ ინტერესს იჩენს ქართული ხალხური ხელოვნებისადმი. საოპერო თეატრი „მუნიციპალი“ მუდამ სავსეა ხალხით, ხოლო დღისით საბილეთო სალაროებთან გრძელი რიგი დგას.

თავისუფალ დროს ხაინტერესო შეხვედრები გვაქვს. ამას წინათ სახელგანთქმულმა ბრაზილიელმა ფეხბურთელმა პელემ მთელი ანსამბლი სანტოსში მიგვიწვია.

სან-პაულოდან 80 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს პატარა ზღვისპირა ქალაქი სანტოსი.

დილის 11 საათი იყო, როცა ცენტრალურ სტადიონზე მიგვიყვანეს, რომელიც კლუბ „სანტოსის“ საწვრთნელ ბაზასაც წარმოადგენს. მოედანზე გუნდის მთელი შემადგენლობა მწვრთნელ ანტონიოს ხელმძღვანელობით ვარჯიშობდა. ზოგიერთი ფეხბურთელი ვიცანით. აგერ მეკარე ვილმარი— გუნდის ვეტერანი, ორლანდო, ზიტო, ედუ და ლიმა, მაგრამ თვითონ პელე სადღაა? იგი მინდორზე შეგვიანებით გამოვიდა, ღიმილით მოგვიახლოვდა და მოგვესალმა.

„დღეს ცოტა შეუძლოდ ვარ და სრული დატვირთვით არ ვვარჯიშობ“, —გვეუბნება პელე. „თქვენს ანსამბლზე ბევრი რამ გამიგია. აქ, ბრაზილიაშიც ბევრი ქება მოვისმინე თქვენზე და ძალიან მოხარული ვარ, რომ ანსამბლი სანტოსსაც ეწვია. ძალიან ცოტა დრო მაქვს თავისუფალი და თქვენს სპექტაკლს, სამწუხაროდ, ვერ დავესწარი, მაგრამ კვირას აუცილებლად ვიხილავ ცეკვას, ამ ლამაზ ადგილებში ალბათ ბევრ ლამაზ ქალს ეცეკვებიან. ეს ალბათ ბევრ ადამიანს ეცოდინებოდა, ოღონდ